საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და
ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება
ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

N 484/01-15

30/12/2022

ნუცა ჩადუნელს

პ/ნ01005029306

ტელ: 598100900

ქალბატონო ნუცა,

თქვენი მიმდინარე წლის N361 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი წარმოადგენს აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას და ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან.

ტურიზმი ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორია. რეგიონში ტურიზმის განვითარების მთავარი სტრატეგია და პრიორიტეტი მდგრადი ტურიზმის განვითარება და აჭარის რეგიონის ოთხივე სეზონზე მიმზიდველ ტურისტულ მიმართულებად ჩამოყალიბებაა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად აქტიურად მიმდინარეობს ერთის მხრივ, ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაცია და აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, მეორეს მხრივ კი რეგიონში სერვისების ამაღლების ღონისძიებები.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უმთავრესი პრიორიტეტი ასევე გახლავთ აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე.

როგორც მოგეხსენებათ, მარკეტინგული აქტივობებიდან და იმ მიღწევებიდან გამომდინარე, რომლითაც ბოლო წლების განმავლობაში გამორჩეულია აჭარა და ბათუმი, აისახა სხვადასხვა რეიტინგულ პლატფორმებზე, კერძოდ 2019 და 2022 წლებში, world travel awards-ის მიერ ბათუმი დასახელდა ევროპის სწრაფად მზარდ ტურისტულ მიმართულებად, ხოლო იმავე 2022 წელს იგივე ორგანიზაციამ ბათუმი უკვე მსოფლიოს სწრაფად მზარდ ტურისტულ მიმართულებად დაასახელა და ასევე 2023 წელს ბათუმი World Travel Awards ე.წ ტურიზმის ოსკარის დაჯილდოების გალა ღონისძიების მასპინძელ ქალაქად დასახელდა, რაც რეგიონის ტურისტულ პოტენციალს გააცნობს მილიონზე მეტ

ქ.ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ.. №84/86
ს.კ. 245427809
ტელ: (0422)274702, 274719
Email info@gobatumi.com

ტურიზმის სექტორის წარმომადგენელს მსოფლიოს 193 ქვეყნიდან. 2022 წელს ევროპულმა პოპულარულმა სამოგზაურო პლატფორმა European Best Destinations -მა ბათუმი ევროპის საუკეთესო ჩამალულ მარგალიტად დაასახელა და მას პირველი ადგილი მიანიჭა, აჭარის სამმა ეროვნულმა პარკმა იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიიღო, ბათუმს კი UNESCO-ს მუსიკის ქალაქის წოდება მიენიჭა.

2019 წელი ერთ-ერთი წარმატებული წელი გახლდათ ტურიზმის ინდუსტრიისთვის, წლის განმავლობაში საზღვრის კვეთის მონაცემების თანახმად, რაც გულისხმობს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური სამსახურის მიერ, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის, ბათუმის საზღვაო პორტის და სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის მონაცემებს, უცხოელი ვიზიტორების რაოდენობამ შეადგინა 2,1 მილიონი საერთაშორისო ვიზიტორი. აღნიშნული რაოდენობა უპრეცედენტოდ რეკორდულია ჩვენი რეგიონისათვის.

2019 წლისათვის აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მთლიანმა ბიუჯეტმა შეადგინა 9 121 800 ლარი. 2019 წელს აჭარის პოპულარიზაციისთვის საერთაშორისო და შიდა ბაზარზე სხვადასხვა საინტერესო აქტივობა განხორციელდა.

აჭარის რეგიონი წარმოდგენილი იყო 27 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე, აჭარის შესახებ საიმიჯო სტატიები განთავსდა სხვადასხვა მსხვილი ავიაკომპანიის საბორტო ჟურნალებში, აჭარის ტურისტული პოტენციალის შესახებ სარეკლამო-საინფორმაციო სტატია განთავსდა სხვადასხვა რეიტინგულ ჟურნალში.

ნაყოფიერი იყო ავიაკომპანია WIZZ AIR-თან ერთად განხორციელებული მარკეტინგული კამპანია,რომელიც მიზნობრივად მიმართული იყო ევროპულ მიმართულებებზე, კერძოდ, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, გერმანია, პოლონეთი, უკრაინა და დიდი ბრიტანეთი.

აჭარის სარეკლამო ვიდეო-რგოლი და სპეციალური სიუჟეტები გავიდა საერთაშორისო და სამიზნე ქვეყნების ადგილობრივ ტელეარხებზე: Euronews, BBC, Deutsche Welle, National Geographic, Travel Channel, DMX (UK), LNK.

აჭარის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, დეპარტამენტის მიერ, გარე რეკლამა განხორციელდა 8 სამიზნე ქვეყანაში, ხოლო ორგანიზება გაეწია 38 სარეკლამო საინფორმაციო ტურს, რომლის ფარგლებშიც აჭარას ესტუმრა გიდების ასოციაციის მსოფლიო ფედერაციის მე-18 კონგრესის მონაწილეები, ასევე 147 მედიისა და 318 ტურისტული კომპანიის წარმომადგენელი. აჭარის შესახებ მომზადდა რამდენიმე ათეული სიუჟეტი, სტატია და ბლოგი.

აჭარის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, 6 სამიზნე ქვეყანაში, მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სოციალური მედია არხების მეშვეობით: Facebook, Instagram, Youtube, ჩატარდა სარეკლამო კამპანია.

რეგიონის საიმიჯო კამპანია განხორციელდა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ტურისტულ პორტალზე Expedia.com. აღნიშნულ პორტალზე სარეკლამო კამპანია ჩატარდა გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის აუდიტორიისთვის.

დეპარტამენტის სამიზნე ქვეყნებისთვის შეიქმნა სოციალური მედია კონტენტი (ტექსტობრივი ფოტო და ვიდეო მასალა) და განთავსდა დეპარტამენტის Visit Batumi-ის ანგარიშზე Facebook-სა და Instagram-ზე.

სხვადასხვა ენებზე მომზადდა სარეკლამო-საინფორმაციო და საგამოფენო მასალები,თემატური გზამკვლევები, რუკები, ბრენდული სარეკლამო-საპრომოციო მასალები.

შიდა ტურიზმის წახალისების მიზნით განხორციელდა გარე სარეკლამო კამპანია საქართველოს მასშტაბით, რომლის დროსაც თბილისში დაიბრენდა ავტობუსის მოსაცდელები და განთავსდა ბილბორდები,აჭარის თემატიკით დაიბრენდა თბილისის რიყის გონდოლები და შარდენის ქუჩა, რომელიც ძლიან აქტიურია ტურისტების ნაკადების კუთხით.

აჭარის სარეკლამო ვიდეო-რგოლი გავიდა საქართველოს კინო-თეატრების (კავეა გალერეა თბილისი, თბილისი მოლი, ისთ ფოინთი, ამირანი, აპოლო) დარბაზებში.

აჭარის სარეკლამო აუდიო რგოლი გავიდა საქართველოს 5 რადიოსადგურში, კერძოდ: რადიოჰოლდინგი ფორტუნა (ფორტუნა, ფორტუნა+, არ დაიდარდო, ავტორადიო), რადიო „პალიტრა“, რადიო „იმედი“, რადიო „აფხაზეთის ხმა“ და რადიო „დარდიმანდი“.

აჭარის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდა სარეკლამო ტური ქართველი ჟურნალისტებისა და ბლოგერისათვის: სულ რეგიონს წლის განმავლობაში სტუმრობდა რამდენიმე ათეული ჟურნალისტი და ბლოგერი, რომლებმაც მოამზადეს სატელევიზიო სიუჟეტები, პირდაპირი ჩართვები, სტატიები და პოსტები.

მედიასთან თანამშრომლობის ფარგლებში 2019 წელს აჭარის ტურისტული პოტენციალის საპოპულარიზაციოდ და აჭარაში მოგზაურობის სამოტივაციოდ ციფრულ მედიაში მომზადდა 70-მდე სტატია.

სპეციალური მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში, რომელიც აჭარის ტურისტული ადგილების ცნობადობის გაზრდას ემსახურებოდა, მომზადდა 11 ვიდეორგოლი, ცნობილი ქართველების მონაწილეობით.

აჭარის ტურისტული პოტენციალის შესახებ სარეკლამო-საინფორმაციო სტატია განთავსდა საქართველოს რკინიგზის საბორტო ჟურნალში ,,გზაში საკითხავი“.

შიდა ტურიზმის სტიმულირების მიმართულებით ჩატარდა სოციალური მედია კამპანია Facebook-სა და Instagram-ზე.

რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, რეიტინგულ ქართულ ინტერნეტ პორტალებზე განხორციელდა სარეკლამო აქტივობები ყველაზე პოპულარულ ქართულ ვიდეო ვებპორტალზე.

ტურიზმის სფეროში რეგიონში არსებული სიახლეებისა და დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების და აქტივობების შესახებ ინფორმაცია განთავსდა ამერიკული საერთაშორისო ჟურნალის „Entrepreneur“-ის ქართულეოვან ვებ-გვერდზე Entrepreneur.com/ge.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტანტისათვის ასევე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია ტურისტული სერვისის განვითარება რეგიონში, რომელიც ერთერთი მთავარი გამოწვევაა, არა მარტო ჩვენი რეგიონისთვის, არამედ ზოგადად ქვეყნისთვის, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი სერვისის გაუმჯობესების მიმართულებით სხვადასხვა აქტივობებს ახორციელებდა, კერძოდ:

რეგიონში ტურისტული სერვისის გაუმჯობესებისათვის, ტურიზმის დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, დაიგეგმა და განხორციელდა მიზანმიმართული სხვადასხვა თემატიკის სატრენინგო ღონისძიებები, რომლის ფარგლებშც გადამზადების კურსი გაიარა 550 ტურიზმის სექტორში დასაქმებულმა ადამიანმა. გადამზადების მოკლევადიანი კურსები მოიცავდა, როგორც სოფლის ტურიზმში ჩართულ რამდენიმე ასეულ ადამიანს, ასევე ქალაქში განთავსებულ ტურისტული ობიექტების თანამშრომლებს, ტურისტულ გიდებს და ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლებს.

ტურიზმის დეპარტამენტისათვის მნიშვნელოვანია, რომ ტურისტულ საქმიანობაში ჩართული იყოს საზოგადოების ყველა წევრი, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საჭიროების მქონე პირები, შესაბამისად, მათან თანამშრომლობით შემუშავდა ტურისტული სააგნტოს მართვა-ფუნქციონირების სპეციალური კურსი, რომელიც გაიარა სმენის არმქონე და სმენადაქვეითებულმა 10-მა პირმა.

იდუმალი სტუმრის მეთოდოლოგიით განხორციელდა 200 ტურისტული ობიექტის მომსახურების ხარისხის კვლევა, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა სხვადასხვა სატრენინგო თემატიკა და დაიგეგმა 2020 წლის სატრენინგო აქტივობები, რომელიც ტურიზმის სექტორის ხელს შეუწყობს განავითაროს მომსახურების ხარისხი.

2019 წლის ბოლოს განხორციელდა ყოველწლიური ღონისძიება „მაგნოლია 2019," რომლის მიზანია რეგიონში მომუშავე ტურისტული სერვისების მიმწოდებლების წახალისება და მოტივაციის გაზრდა. ღონისძიების ფარგლებში გამოვლინდა და დაჯილდოვდა ტურიზმის ინდუსტრიაში წლის საუკეთესო ტურისტული სერვისების მიმწოდებელი ობიექტები.

საერთაშორისო და შიდა ტურიზმის სტიმულირების, ასევე რეგიონში მომსახურებბის ხარისხის განვითარების პრიორიტეტების გვერდით, მნიშვნელოვანია განვითარდეს ტურისტული პროდუქტები, რაც გულისხმობს აჭარის მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა ტურისტული მარშრუტების შექმნას და მის განვითარებას, მარკირებას, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას, ტურიზმის თემატური ფესტივალების ორგანიზებას, საინფორმაციო ცენტრების მართვას და განვითარებას.

აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებს ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო", რომელიც აჭარის ტურიზისა და კურორტების შემადგენელი ნაწილია. სააგენტომ განახორციელა ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც აჭარის რეგიონს, ოთხივე სეზონის განმავლობაში, მიმზიდველ ტურისტულ მიმართულებად ავითარებს.

2019 წლის განმავლობაში ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ" სამთო - სათხილამურო კურორტ „გომარდულის," თაგო - სხალთის

საფეხმავლო მარშრუტის, სხალთა - ხიხანის ხეობასა და გოდერძის ალპური მარშრუტის, ჭვანის ხეობის მარშრუტის, ჩაისუბნისა და სახალვაშოს ფრინველებზე დაკვირვების პლატფორმების გასაცნობად და საპოპულარიზაციოდ უმასპინძლეს რამდენიმე ინფო ტურს ტურისტული სააგენტოს წარმომადგენლებისა და გიდების ჩართულობით. ინფო ტურის ფარგლებში გიდებმა და ტურისტული სააგენტოს წარმომადგენლებმა მოინახულეს და გაეცნენ მარშრუტზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, მუზეუმებს, საოჯახო-სასტუმრო სახლებს, სხვადასხვა ტურისტულ ობიექტებს.

წლის განმავლობაში ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო“ ინფო ტურის ფარგლებში მასპინძლობდა ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებს და აცნობდა აჭარის მუნიციპალიტეტებში ახლად გახსნილი საოჯახო სახლების, კოტეჯების და ღვინის მარნების ტურისტულ შესაძლებლობებს.

2019 წლის განმავლობაში ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო“ ორგანიზებას უწევდა ტურიზმის თემატურ ფესტივალებს, კერძოდ, ჩატარდა სოფლის ტურიზმის ფესტივალი "განდაგანა" და ორგანიზება გაეწია თემატურ ფესტივალებს სამ ლოკაციაზე (ბათუმი, ქობულეთი, კურორტი გოდერძი)

ასევე, ჩატარდა სოფლის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიიღო 5 ქვეყნის 150 დელეგატზე მეტმა სოფლის ტურიზმის ექსპერტმა და სფეროს წარმომადგენელმა.

სააგენტოს ორგანიზებით სექტემბრის თვეში ჩატარდა გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების მე-8 საერთაშორისო ფესტივალი.

ჩირუხის მთაში (შუახევის მუნიციპალიტეტი) ტურისტული პროდუქტისა და ინფრასტრუქტურული პროექტის შექმნისთვის დაიწყო შესაბამისი პროცედურები.

ტურისტულ ობიექტებში განთავსდა დამზადდა და განტავსდა რამდენიმე ათეული საინფორმაციო სტენდი.ბათუმის ქუჩებში განთავსდა ორმხრივი რუკების „ლაითბოქსები“

ეკო და სოფლად ტურისტული პროდუქტების განვითარების ხელშესაწყობად შეიქმნა გადამფრენ ფირნველებზე დაკვირვების შესახებ ბროშურები, მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების სოფლებში სხვადასხვა მარშრუტების განვითარების მიზნით, განხორციელდა მარკირების პროექტები და დამონტაჟდა ნიშნულები.

აღნიშნული აქტივობების პარალელურად ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო“ აქტიურად მუშაობდა საერთაშორისო მიმართულებით სხვადასხვა თემატურ ორგანიზაციებთან, მათ შორის გაღრმავდა თანამშრომლობა ევროპის სოფლად ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (Eurogites). სააგენტო წარმოდგენილი იყო სოფლის ტურიზმის ევროპული ფედერაციის გენერალური ასამბლეის შეხვედრაზე.

ეკო და სოფლის ტურიზმის თემატიკის საერთაშორისო გამოფენებში, კონფერენციებში და ღონისძიებებში მონაწილეობის ფარგლებში აგვისტოს თვეში სააგენტო წარმოდგენილი იყო დიდ ბრიტანეთში (ოუკჰემში) საერთაშორისო მნიშვნელობის ფრინველების დაკვირვების გამოფენაზე საკუთარი სტენდით.

ასევე ნოემბრის თვეში სააგენტო წარმოდგენილი იყო პოლონეთში (კიელცი) სოფლის ტურიზმის მე-11 საერთაშორისო გამოფენაზე სახელწოდებით ,,აგრო ტურიზმი და აქტიური ცხოვრება“.

გადამზადდა და ჩაუტარდა ტრენინგი ტურისტული საინფორმაციო ცენტრის 30 თანამშრომელს. დასრულდა 8 ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მოდერნიზება-განახლება. დასრულდა საინფორმაციო ცენტრების თანამშრომლების მიერ განხორციელებული მომსახურების ხარისხის კვლევა „იდუმალი სტუმრის“ მეთოდოლოგიის გამოყენებით. მომხმარებელთა კმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 97,7 %.

2019 წელს განხორციელებული აქტივობების შედეგად, როგორც საერთაშორისო და შიდა ბაზარზე, ასევე, ტურისტული სერვისის განვითარებისა და ტურისტული პროდუქტების განვითარების კუთხით, აჭარის რეგიონმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

საერთაშორისო მარკეტინგული აქტივობების შედეგად, აჭარის რეგიონის ტურისტული პოტენციალის შესახებ, რამდენიმე ასეულ მილიონ ადამიანს ჰქონდა ინფორმაციული წვდომა,

ტურიზმის სფეროს პროფესიონალების შეფასებების შედეგად, ბათუმმა WORLD TRAVEL AWARDS დაჯილდოვების ცერემონიაზე, უდიდესი აღიარება ე.წ ტურიზმის ოსკარი, ევროპის სწრაფად მზარდი ტურისტული მიმართულების ნომინაციაში მოიპოვა.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტისათვის 2020 წელი ყველა პარამეტრების გათვალისწინებით მნიშნელოვანი და წარმატებული უნდა ყოფილიყო, თუმცა გლობალურმა პანდემიამ, რომელმაც მნიშვნელოვნად დააზიანა მსოფლიო ტურიზმი, ასევე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჩვენი ქვეყნის და რეგიონის ტურიზმის სფეროზე.

აღნიშნულ პროპროტეტებზე მუშაობა, პანდემიური წლის მიუხედავად, კოვიდ19-ის რეგულაციების გათვალისწინებით, მაინც გაგრძელდა 2020 წელსაც.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 31 280 912 ლარს, თუმცა აღნიშნული ბიუჯეტიდან 28 800 000 ლარი მოხმარდა ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის ღონისძიებებს.

დარჩენილი თანხები სრულად მოხმარდა ტურიზმის განვითარებისათვის განსაზღვრულ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებს.

პანდემიის მიუხედავად წლის დასაწყისში, აჭარის რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების წარმოჩინების მიზნით დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღი 11 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში.

დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია სარეკლამო-საინფომაციო ტურს პოლონეთიდან, რომლის ფარგლებში რეგიონს ეწვივნენ მედიისა და ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები. ესტონეთში გაიმართა შეხვედრა ტუროპერატორებსა და ჟურნელისტებთან, ჩატარდა აჭარის ტურისტული პოტენციალის პრეზენტაცია და

განხორციელდა აჭარული კერძების მასტერკლასი, რის შედეგადაც მომზადდა ვიდეო რეპორტაჟები და სტატიები რეგიონის ტუურისტული შესაძლებელობების შესახებ.

2020 წელს ეტაპობრივად მიმდინარეობდა ინტერნეტ სარეკლამო კამპანია ქვეყნის შიგნით სოციალურ ქსელ Facebook-ზე.

განხორციელდა ბლოგერების/ინფლუენსერების პროექტი „უსასრულო აჭარა“, რის შემდეგაც მომზადდა და სტატიები განთავსდა ქართულ გამოცემებში.

აჭარის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისა და ტურიზმის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ 125 ბლოგი და ნიუსი გამოყვეყნდა ქართულ რეიტინგულ ონლაინ გამოცემებში.

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, რომელიც აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს, პანდემიის გამო მთელი რიგი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ტურიზმის დეპარტამენტმა აღნიშნული მიმართულებით 2020 წლისათვის სხვადასხვა აქტივობები განახორციელა, რომელიც თანხვედრაში იყო კოვიდ-რეგულაციებთან.

ტურიზმის დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ქალაქ ბათუმსა და ქობულეთში არსებულ განთავსების ობიექტების დასუფთავების სამსახურის რამდენიმე ათეულ თანამშრომელს ჩაუტარდათ თემატური ტრენინგები. ტურისტული სერვისის მიმწოდებლებისათვის ორგანიზება გაეწია ტრადიციული აჭარული კულინარიის მასტერკლასებს და სარესტორნო თემატიკაზე შეიქმნა სასწავლო-სახელმძღვანე;ო ვიდეოები.

ასევე რეგიონში სერვისის განვითარებისთვის შეიქმნა საინფორმაციო, საგანმანათლებლო ვებ-გვერდი www.serviceajara.ge.

გლობალური პანდემიის მიუხედავად, ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო“ აგრძელებდა დასახულ პრიორიტეტებზე მუშაობას.

ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაციისა და განვითარების ფარგლებში განხორციელდა მარშრუტების კვლევისა და მარკირების პროექტის შემენა, ტურისტულ მარშრუტებზე მაღალმთიან აჭარაში დამონტაჟდა საინფორმაციო ნიშნულები, სამ მუნიციპალიტეტში (შუახევი, ხელვაჩაური, ქობულეთი) განხორციელდა საპიკნიკე ინფრასტუქტურის მოწყობა, ასევე ხულოს მუნიციპალიტეტში, ხიხანის ციხეზე ასასვლელი ბილიკის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და კავიანის ციხის გავლით, ქედის და შუახევის მუნიციპალიტეტებზე გარდამავალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საველოსიპედე ბილიკის დაპროექტების შესყიდვა.

სააგენტომ შეძლო ორგანიზება გაეწია ექვსი საინფორმაციო გაცნობითი ტურისთვის ადგილობრივი გიდებისა და ტურისტული სააგენტოებისთვის, უჩხოს, ჩირუხი-შუამთის ტბების-ხიხაძირის, კავიანი- დანდალო - კაპნისთავის, ღორჯომი- მთა ლეკნარი- კუროტი ბახმაროს მიმართულებით. მაღალმთიან აჭარაში სხვადასხვა მარშრუტებზე დამონტაჟდა ნიშნულები.

შესაძლებელი გახდა 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩირუხის მთაში (შუახევის მუნიციპალიტეტი) ტურისტული პროდუქტისა და ინფრასტრუქტურული პროექტის მიღება.

2020 წლის დასაწყისში, შესაძლებელი გახდა თურქეთში ქალაქ სტამბოლში, ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაზე „EMITT 2020"-ზე რეგიონის პოპულარიზაციისა და ტურისტული შესაძლებლობების წარმოჩენის მიზნით სააგენტოს მიეღო მონაწილეობა და წარმოეჩინა აჭარის ტურისტული პოტენციალი.

აღნიშნული საქმიანობის პარალელურად დასრულდა 8 ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მოდერნიზება-განახლება. დამზადდა და განთავსდა საინფორმაციო სტენდები ტურისტულ ობიექტებში. ბათუმში განთავსდა განათებული რუკები „ლაითბოქსები".

2021 წელს კოვიდპანდემია ისევ მთავარი გამოწვევად დარჩა მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიისთვის. პანდემიასთან დაკაშირებული მთელი რიგი შეზღუდვების და რეგულაციების მიუხედავად, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს, მიმდინარე პროგრამების მიმართულებით მუშაობა არ შეუწყვეტია.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მთლიანი ბიუჯეტი 2021 წელს შეადგენდა 13 905 372 ლარს, თუმცა ისევ გაგრძელდა ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის ღონისძიებები, რომლისთვისაც აღნიშნული ბიუჯეტიდან 9596150 ლარი იქნა დათმობილი, შესაბამისად, დარჩენილი თანხებით განხორციელდა ტურიზმის განვითარებისათვის ძირითადი პრიორიტეტული პროექტები.

საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე, რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით დეპარტამენტმა შეძლო, რომ მონაწილეობა მიეღო 3 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში, კერძოდ:

ასევე, მოხერხდა განეეხორციელებინა 17 სარეკლამო-საინფორმაციო ტურის ორგანიზება, რომლის ფარგლებშიც, აჭარას ეწვია მედიისა და ტურისტული კომპანიების 161 წარმომადგენელი, მათ შორის 41 ჟურნალისტი და 120 ტურისრული კომპანიის წარმომადგენელი, შედეგად მომზადდა რამდენიმე ათეული სტატია, სატელევიზიო დოკუმენტური გადაცემა, სატელევიზიო სიუჟეტი და ბლოგი.

აჭარის ტურისტული პოტენციალის შესახებ სარეკლამო-საინფორმაციო სტატია განთავსდა National Geographic Traveller-ის და National Geographic Traveller Food 2021 წლის გამოცემებში.

ჩაეშვა მარკეტინგული კამპანია და აჭარის სარეკლამო ვიდეორგოლები Euronews-ის ეთერში. აღნიშნული ტელეკომპანიის ეთერში და ვებ-გვერდზე მომზადდა და განთავსდა თემატური სიუჟეტები და ფოტოსლაიდები UNESCO-ს მიერ საქართველოს 4 დაცული ტერიტორიისათვის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებად აღიარების და შესახებ.

აჭარული სამზარეულოს შესახებ სტატია განთავსდა ჟურნალში Homeland of wine, რომელიც დაიგზავნა შემდეგ ქვეყნებში: ამერიკა, ინგლისი, ბელგია, ჰოლანდია, საფრანგეთი, გერმანია, ლატვია, პოლონეთი, ყაზახეთი, რუსეთი, ბელორუსი, იაპონია, ჩინეთი.

მიღწეულ იქნა შეთანხმება და დაიდო ხელშეკრულება World Travel Awards-ის ევროპის დაჯილდოების გალა ცერემონიის 2023 წელს ბათუმში ჩატარების თაობაზე.

შიდა ტურიზმის სტიმულირებისათვის მომზადდა ,,აჭარის ტურისტული ანბანი“-ს პროექტი, რომლის ფარგლებში შეიქმნა თემატური და კრეატიული 33 ვიდეო, რომელიც აჭარის ტურისტულად მიმზიდველ 33 ადგილს გვაცნობს.

ქალაქ ბათუმის ტურისტულად აქტიურ ადგილებში განთავსდა აჭარის ტურისტული პოტენციალის ამსახველი სარეკლამო ბანერები და ბილბორდები.

აჭარის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდა 8 შიდა ტური ქართველი ჟურნალისტების, ბლოგერებისა და ფოტოგრაფებისთვის, რის შედეგადაც მომზადდა რამდენიმე ათეული სატელევიზიო სიუჟეტი, პირდაპირი ჩართვა, პოსტი. ონლაინ მედია სივრცეში განთავსდა 100-ზე მეტი ნიუსი, სტატია და ბლოგი, რომელიც აჭარის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას ეძღვნებოდა.

მიმდინარეობდა ინტერნეტ რეკლამა ქვეყნის შიგნით Facebook-ის სოციალურ მედია პლატფორმაზე.

განხორციელდა მარკეტინგული აქტივობა კურორტ გოდერძიზე ზამთრის სეზონის გახსნასთან დაკავშირებით.

საერთაშორისო პიარ და მარკეტინგული აქტივობების განსახირციელებლად მომზადდა აჭარის ტურისტული თემატიკის და მოგზაურობისათვის მამოტივირებელი რამდენიმე ათეული ფოტო და სარეკლამო-საპრომოციო მასალა.

მომსახურებს ხარისხის განვითარება 2021 წლისთვისაც პრიორიტეტულ მიმართულება იყო, პანდემიის გამო შექმნილმა რიგმა გამოწვევებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია განსახორციელებელი აქტივობების ფორმასა და შინაარსზე, თუმცა ყველა აქტივობა რომელიც 2021 წელს განხორციელდა სრულად იყო ტურიზმის დარგის განვითარების საჭიროებებზე მორგებული.

2021 წლისათვის მომზადდა ქალაქ ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტურების და თემატური მარშრუტების სამენოვანი, პრაქტიკული ელექტრონული სახლმძვანელოები, რომელიც განკუთვნილია პროფესიონალი თუ დამწყებ გიდისათვის. სახელმძღვანელო მოიცავს ყველა საჭირო ტექსტუალური მასალას, ფოტოებს და ელექტრონულ რუკებს.

ასევე მომზადდა 10 სასწავლო ვიდეორგოლი სერვისის სფეროს წარმომადგენლებისთვის სარესტორნო თემატიკაზე, რომელიც აიტვირთა სერვისის განვითარების ონლაინ პლათფორმაზე და ის ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

ტურიზმის დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით აჭარის ა.რ ხუთ მუნიციპალიტეტის 26 სოფელში არსებული საოჯახო სასტუმრო სახლების წამომადგენლებისათვის განხორციელდა ტრენინგები, სულ გადამზადდა 516 ადამიანი.

ასევე ტურიზმის სექტორში დასაქმებულთათვის მომსახურების ხარისხის ამაღლების კუთხით აჭარის მუნიციპალიტეტების 10 სოფელში დაიწყო სხვადასხვა აქტივობის ორგანიზება „ტურისტული პროდუქტის შექმნისა და მათი სერვისად ქცევის

მიზნით საოჯახო სასტუმრო სახლების წარმომადგენლებისათვის. ამავე პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 100 ადამიანმა.

ასევე განხორციელდა აჭარის ა.რ ტერიატორიაზე არსებული კვებისა და განთავსების ობიექტების წარმომადგენლებისათვის, კერძოდ: ბარმენებისათვის, ყავისა და ჩაის მომზადების ტექნოლოგიის (ბარისტას) თემატიკაზე სხვადასხვა მასტერკლასი და ვორკშოპი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 27-მა ბარმენმა. ასევე, ამავე ღონისძიების ფარგლებში დამზადდა 1 სასწავლო ვიდეო გაკვეთილისა.

ასევე აჭარის ოთხ სოფელში სოფლად არსებული საოჯახო სასტუმრო სახლების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ სხვადასხვა დონის ინგლისური ენის მოკლევადიანი ტრენინგ-კურსი. სულ გადამზადდა 59 ადამიანი.

ტურიზმის დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე მიზანით, კერძოდ აჭარაში მოქმედი და დამწყები ტურისტული გიდებისათვის ჩატარდა 10 თემაზე ტრენინგები - სალექციო შეხვედრები, რომელსაც დაესწრო 51 გიდი.

ტურისტულ ობიექტებში მომსახურების ხარისხის რეგულარული მონიტორინგის მიზნით „იდუმალი სტუმრის“ მეთოდით განხორციელდა აჭარის სოფლებში არსებული 100 საოჯახო ტიპის სასტუმრო სახლების მონიტორინგი, გამოვლინდა მათი საჭიროებები და მომზადდა სატრენინგო პროგრამები.

ტურისტული პროდუქტების განვითარება აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში ასევე გახლდათ 2021 წლის უმთავრესი პრიორიტეტი.

ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს“ მიერ ორგანიზება გაეწია 11 საინფორმაციო გაცნობით ტურს ტურისტული სააგენტოს და გიდების მონაწილეობით.

განხორციელდა საინფორმაციო ბანერების და დაფების, კანიონინგის აღჭურვილობის და კანიონინგის პროფესიონალი ინსტრუქტორების მომზადებისა და მათთვის სატრენინგო მომსახურების შესყიდვა, დასრულდა ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტების გარდამავალ მარშრუტზე საფეხმავლო-საველოსიპედე ბილიკისთვის სამშენებლო სამუშაობი. ასევე დასრულდა საპიკნიკე ინფრასტრუქტურის მოწყობა შუახევისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტბში. დასრულდა ასევე ინფარსტრუქტურული პროექტი ტურისტული თავშესაფარის მშენებლობა. ორგანიზება გაეწია ზაფხულის ტურისტული სეზონის გახსნის ტრადიციულ ღონისძიებას.

ჩვენი რეგიონისთვის ტურისტული თვალსაზრისით 2022 წელი იყო გამორჩეული. 2022 წელს ბათუმმა ორი პრესტიჟული ჯილდო მოიპოვა. World Travel Awards “-ის ევროპის ჯილდოს მოპოვების შემდეგ წელს, პირველად ბათუმმა ტურიზმის „ ოსკარი “, უკვე როგორც მსოფლიოს სწრაფად მზარდმა ტურისტულმა მიმართულებამ მოიპოვა. ბათუმმა მსოფლიოს დაჯილდოების ცერემონიაზე ისეთი ქვეყნების ქალაქებს გაუწია კონკურენცია, როგორებიცაა საფრანგეთი, იაპონია, კოლუმბია, ბულგარეთი და ჩრდილოეთ ირლანდია. ბათუმისთვის ეს პირველი ჯილდოა, რომელიც ქალაქმა ტურიზმის ოსკარის მსოფლიოს დაჯილდოების ცერემონიაზე მიიღო, რაც ძალიან დიდი განაცხადი და პასუხისმგებლობაა ჩვენი ქალაქისა და ქვეყნისთვის.

2022 წლისათვის აჭარის ტურიზმისა და კურორტების ბიუჯეტი შეადგენდა 13 375 000 ლარს. თუმცა, ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, რაც მდგომარეობდა ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის ღონისძიებების უზრუნველყოფაში, რომლისთვისაც გამოიყო 1 963 500 ლარი და ასევე, უკრაინის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების გამო განსახორციელებელ ღონისძიებები, რომელიც გულისხმობდა საქართველოში საომარი მოქმედებების შედეგად ჩამოსული უკრაინელი მოქალაქეების საჭიროებების დაკმაყოფილებას გამოიყო 1 472 365 ლარი.

დარჩენილი თანხებით მოგვეცა საშუალება, პოსტპანდემიური წლის გამოწვევების მიუხედავად, დასახული პრიორიტეტების, რომელიც გულისხმობს, აჭარის რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას საერთაშორისო და შიდა ბაზარზე, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას რეგიონის ტურიზმის სექტორში და ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნას და განვითარებას აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში გაგვეხორციელებინა შემდეგი პროექტები.

ბათუმი, როგორც მსოფლიოს სწრაფად მზარდი ტურისტული მიმართულების მიღწევები არაერთი პოპულარული და გავლენიანი მედიის ყურადღების ქვეშ მოქცეულიყო. მათ შორისაა პოპულარული ევროპული სამოგზაურო პლატფორმა European Best Destination, სადაც ბათუმზე გამოქვეყნებულ რეიტინგს ისეთი ცნობილი მედიაგამოცემები გამოეხმაურა, როგორებიცაა Conde Nast Traveler Spain, Forbes USA, Forbes Brazil, Euronews და Yahoo France.

წელს, პირველად ბათუმის ბიზნეს და ტურისტულ შესაძლებლობებს სიუჟეტი მიუძღვნა ბიზნეს მედიაგიგანტმა BLOOMBERG, რომელიც ბიზნეს და საქმიანი წრეების მილიონობით წარმომადგენელმა იხილა.

ბათუმის, როგორც ევროპის სწრაფად მზარდი ტურისტული მიმართულების შესახებ ვრცელი სიუჟეტი და სტატია მოამზადა ტელეკომპანია EURONEWS-მა, სადაც ჟურნალისტმა 160-ზე მეტი ქვეყნის მაყურებელს ბათუმის საზღვაო და სამთო ტურისტული პროდუქტების შესახებ გაუზიარა შთაბეჭდილებები. სიუჟეტს წინ უძღოდა აჭარის ერთვიანი სატელევიზიო რეკლამა ევრონიუსზე, რომლის ფარგლებშიც მაყურებელი რეგიონის საიმიჯო ვიდეორგოლებს ეცნობოდა.

აღნიშნული ტელეკომპანიებს მსოფლიოში მილიონობით მაყურებელი ჰყავს და ჩვენი მიზანი ამ კამპანიით ბათუმის და ჩვენი ქვეყის საიმიჯო , ცნობადობის ასამაღლებელი კამპანიის წარმოება და რეგიონის პოზიციონირება.

ვუმასპინძლეთ 200- ზე მეტ ჟურნალისტსა და ტურიოპერატორს, რომლებმაც მოამზადეს და გამოაქვეყნეს ჩვენი რეგიონის შესახებ სტატიები, რეპორტაჟები, სიუჯეტები. მონაწილეობა მივიღეთ 20 საერთაშორისო გამოფენაში, სადაც ვაცნობთ ჩვენი რეგიონის ტურისტულ პოტენციალს მომხმარებლებსა და კომპანიებს.

წელს, ბათუმს სტატიები და სიუჟეტები 150-მდე უცხოურმა მედიასაშუალებამ მიუძღვნა. Bloomberg, Euronews, Wanderlust, Conde Nast Traveler, Forbes, Dailymail და New York Times იმ გავლენიან მედიაგიგანტებს შორისაა, სადაც ბათუმის საზღვაო და სამთო ტურისტული პროდუქტების შესახებ სტატიები დაიბეჭდა.

აჭარის ტურისტული შესაძლებლობები მკითხველს ისეთი მსხვილი ტურისტული გამოფენების გამოცემებმაც გააცნო, როგორებიცაა ბერლინის ITB BERLIN NEWS, ლონდონის WTM YEARBOOK და დუბაის ATM DUBAI DAILY PUBLICATION.

მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები, მასტერკლასები და პრაქტიკული მეცადინეობები სექტორის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლისთვის, მათ შორის გიდებისთვის, სააგენტოებისთვის, განთავსებისა და კვების ობიექტებისთვის. სერვისის გაუმჯობესების მიზნით აჭარაში ტურისტული სექტორის 1000-მდე წარმომადგენელის გადამზადება მოხდა.

სრულად ამოქმედდა სერვისის განვითარების ხელშეწყობისთვის ონლაინ პორტალი serviceajara.ge, რომელზე განთავსებულია ტურიზმის დეპარტამენტის ტრენინგების კალენდარი, ვიდეოგაკვეთილები, სახელმძღვანელოები, რომლის მეშვეობითაც პორტალზე რეგისტრირებულ სექტორის წარმომადგენლებს მუდმივად აქვთ წვდომა სერვისის გაუმჯობესების კუთხით რეგიონში დაგეგმილ ღონისძიებებზე, ტრენინგებსა და მასტერკლასებზე.

იდუმალი სტუმრის მეთოდოლოგიით განხორციელდა 100 ტურისტული ობიექტის მომსახურების ხარისხის კვლევა, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა სხვადასხვა სატრენინგო თემატიკა და დაიგეგმა 2023 წლის სატრენინგო აქტივობები, რომელიც ტურიზმის სექტორის ხელს შეუწყობს განავითაროს მომსახურების ხარისხი.

2022 წლის ბოლოს განხორციელდა ყოველწლიური ღონისძიება „მაგნოლია 2022," რომლის მიზანს ისევ რეგიონში მომუშავე ტურისტული სერვისების მიმწოდებლების წახალისება და მოტივაციის გაზრდა წარმოადგენს. ღონისძიების ფარგლებში გამოვლინდა და დაჯილდოვდა ტურიზმის ინდუსტრიაში წლის საუკეთესო ტურისტული სერვისების მიმწოდებელი ობიექტები.

აჭარას ძალიან დიდი კულინარიული შესაძლებლობები აქვს, რაც ძალიან კარგადაა ასახული კულინარიულ გზამკვლევში, რომელიც წელს ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს" მიერ მომზადდა. „კულინარიული მოგზაურობა აჭარაში" არის წიგნი, რომელშიც 110-ზე მეტი ნაკლებცნობილი და მივიწყებული აჭარული კერძების, დესერტებისა და წასახემსებლების რეცეპტები, ფოტოები და კერძთან დაკავშირებული ტრადიციებია განთავსებული.

მნიშვნელოვანია, ხიხანის ციხეზე ასასვლელი ბილიკის მშენებლობა, რომელიც ტურისტებს ხიხანის ციხის დალაშქვრას გაუმარტივებს. პროექტი ციხეზე

ასასვლელი ბილიკის გაფართოებას, მოაჯირების მონტაჟს, კიბეების მოწყობასა და ტურისტული ბილიკის მარკირებას ითვალისწინებს. ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობის პირველი ეტაპი დასრულებულია. განახლებული ბილიკით სარგებლობას ტურისტები შემდეგი წლის ზაფხულში შეძლებენ.

ქობულეთის დაცულ ტერიტორიაზე უკვე მიმდინარეობს გარემოსთან ადაპტირებული საფეხმავლო ბილიკების მოწყობა. შემდეგი წლისთვის კი ნაკრძალს მოსასვენებელი სივრცეები, შთამბეჭდავი ვიზუალისა და სიმაღლის გადმოსახედი პლატფორმა და ავტოპარკინგი შეემატება. ასევე, გაკეთდება შემეცნებითი სივრცე, სადაც ისპანის ბიომრავალფეროვნება იქნება წარმოდგენილი და ვიზიტორებს სფაგნუმებზე ხელით შეხების საშუალება ექნებათ.

ექსტრემალური და თავგადასავლების მოყვარული მოგზაურებისთვის რეგიონში კანიონინგის ორი ტურისტული მარშრუტი მოეწყო. უჩხოსა და კაპნისთავის კანიონზე ტურისტებს კასაკდოვან ჩანჩქერებზე თოკებით დაშვებისა და ულამაზესი ხეობების დალაშქვრის საშუალება აქვთ.

კანიონგთან ერთად აქტიურად მასპინძლობს ვიზიტორებს ჯვარიმინდორის ტურისტული თავშესაფრებიც, სადაც საკოცონე სივრცე, ფანჩატურები, საქანელები, მოსასვენებელი სივრცეები და ფოტოსტენდებია მოწყობილი.

ავთენტური და ეკოლოგიური მასალებით დამზადებული საპიკნიკეები ასევე მოეწყო ნაკონაღვარის მთაზე და კვესაური-ძველიმთის მიმდებარედ ხარისაწოლზე, რაც მოგზაურებს ღია სივრცეში, ავთენტურ გარემოში განიტვირთვისა და დასვენების საშუალებას აძლევს.

სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების მიზნით მთიან აჭარას ასევე შეემატა საფეხმავლო - საველოსიპედე ბილიკი. 5 კილომეტრიან ბილიკზე, რომელიც შუახევსა და ქედას ერთმანეთთან აკავშირებს, მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურა მოეწყო, რაც მარშრუტზე მოსასვენებელი და რეკრეაციული სივრცეების, საპიკნიკეების, ველოპარკინგის, მოწყობას ითვალისწინებს.

ღორჯომის ხეობაში საცხენოსნო ტურიზმის განვითარების მიზნით ინფრასტრუქტურის მოწყობა შემდეგ წელს დაიწყება. უკვე მზადაა პროექტი, რომლის მიხედვითაც ხეობაში გარემოსთან ადაპტირებული ღია მანეჟის, დახურული თავლის, ამფითეატრის, ადმინისტრაციული ცენტრისა და წრიული საცხენოსნო ბილიკების მოწყობა იგეგმება. ერთ ჰექტარზე მოწყობილ ღია მანეჟში შესაძლებელი იქნება, როგორც მოყვარულების, ისე პროფესიონალების ჯირითი.

ტურიზმის დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაციისა და განვითარების კუთხით. ჯამში მაღალმთიან აჭარაში უკვე

მარკირებულია 25-ზე მეტი ტურისტული მარშრუტი, გაიჭრა და მოწესრიგდა დანდალოს ჩანჩქერთან და უჩხოს კანიონთან მისასვლელი ბილიკები, აჭარის მუნიციპალიტეტებში კი 130-მდე ნიშნული განთავსდა საოჯახო-სასტუმრო სახლებთან და ტურისტულ ადგილებთან.

საერთაშორისო მიღწევების, ტურიზმის აღდგენისა და ახალი ტურისტული პროდუქტების განვითარების კუთხით 2022 წელი საკმაოდ წარმატებული და ნაყოფიერი იყო. არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გველოდება 2023 წელსაც. როგორც მოგეხსენებათ, ბათუმი წელს ოფიციალურად დასახელდა World Travel Awards- ის ევროპის დაჯილდოების ცერემონიის მასპინძელ ქალაქად, რაც ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა ჩვენი რეგინისთვის და ქვეყნისთვის. ტურიზმის ოსკარის გალა საღამოს ბათუმში ტურიზმის სფეროს წამყვანი ფიგურები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ეწვევიან. შემდეგ წელს ბათუმის ასევე უმასპინძლებს 21 წლამდე ნაკრებთა ევროპის 24-ე ჩემპიონატსა და ევროპის სოფლად ტურიზმის გენერალურ ასამბლეას. გარდა ამისა, ტურისტულად აქტიური წელი ელოდება ჩვენს ქვეყანას. ისტორიაში პირველად, 2023 წელს საქართველო მსოფლიოში უმსხვილეს ტურისტულ გამოფენაზე IBT Berlin მასპინძელი ქვეყნის სტატუსით წარსდგება, რაც ძალიან დიდი განაცხადი და მიღწევაა ჩვენი ქვეყნისთვის.

თინათინ ზოიძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე

484-01-15-2-202212301526
https://edocument.ge/AdjaraGov/public